№ 84. 25 აპრილი, კვირა. 1866—1882 25 აპრილი, კვირა. № 84.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

...გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-... ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-... ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ...წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ...თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ...ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ... სტრიქონზე შაური.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ორი შაური.

განმგებელი კომიტეტი თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელ წევრთა საზოგადო კრებაზედ, რომელიც ამ აპრილის 28-ს, დილის 11 საათ. მოხდება სათავად-აზნაურო სკოლის სახლში, სოლოლაკზე, მცველი ინსტიტუტის ქუჩაზე, ბაისოლოლოვის სახლებში. (3—1)

არწრუნის თეატრში
დღეს, 25 აპრილს
ბენეფისი
**ქ. მესხისა**
მონაწილეობას მიიღებს ე. მესხი.
ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
I
**ჟან ბოდრი**
დრამა 4 მოქმ. ნათ. ფრანცუზულიდამ. თამაშობენ: ნ. გაბუნია, ე. მესხი, ქ. მესხი, ვ. აბაშიძე, ქ. ყიფიანი და სხვ.
II
**დატრიალდა ჯარა**
ვოდევილი 1 მოქმედებად.
ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

ოზურგეთის მაზრის კეთილ-შობილთა წინამძღოლელი აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს მაზრის თავად და აზნაურთ:

I. მობრძანდნენ ქ. ქუთაისში 30 ამ აპრილს, დილის ათ საათზედ ოზურგეთის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს: ა) მოსამზადებელად და მოსახდენათ სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალი მაისის საგუბერნიო კრებისათვის, ბ) სალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზედ.

II. წარმოუდგინონ მას კანონიერი საბუთები, რომლითაც შეეძლებათ ჰქონდეთ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღოლების ამორჩევაში. (6—5)

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურგი, 23 აპრილს.** „მმართებლობის მოამბე" გვაცნობებს: სამხედრო მინისტრმა ბრძანება გაუგზავნა ყველა სამხედრო სასამართლოს პროკურორებს და ადვოკატებს, რომ თავიანთ სიტყვებში მხოლოდ ფაქტიკურ მხარეზედ ილაპარაკონ.

„ნოვოე ვრემიაში" სწერენ: გადასახლების თაობაზედ პროექტი შემდგომაზედ განიხილება სახელმწიფო რჩევაში. „სახალხო შრომის გაუმჯობესობის საზოგადოებაში" მონაწილეობის მიღების სურვილი 200 ქალაქმა და ერობამ გამოაცხადა.

## მომავალ თავად-აზნაურთა კრებას

ტფილისი, 24 აპრილს.

რამდენიმე დღის შემდეგ ტფილისში და ქუთაისში შეიკრიბება საქართველოს თავად-აზნაურობა თავის წარმომადგენელთა ამოსარჩევად და აგრეთვე მოსალაპარაკებელად სხვა-და-სხვა საზოგადო საგნებზედ.

რამდენჯერმე ვილაპარაკეთ ჩვენ იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ჟამად თავად-აზნაურობის წინამძღოლელთა ამორჩევას, როგორი კაცები ეჭირება ახლა ჩვენს თავად-აზნაურობას თავის წარმომადგენლებად და რას უნდა მიაქციოს იმან ამ შემთხვევაში უმთავრესი ყურადღება. ამის გამო ამ საგანზე დღეს არას ვიტყვით. მეორე, ამაზე უფრო მძიმე საგანზედ გვინდა რამდენიმე სიტყვა ვუთხრათ დღეს ჩვენს მკითხველებსა.

კანონის ძალით, თავად-აზნაურთა კრებას უფლება აქვს მინიჭებული, რომ თავის საზოგადო საჭიროებაზედ მოილაპარაკოს და უმაღლესს მთავრობასთან იშუამდგომლოს ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება.

არა-ერთხელ უსარგებლნია ჩვენს თავად-აზნაურობას ამ უფლებით. მაგრამ კაი ამისთანა სარგებლობით! იმერეთის თავად-აზნაურობა თითქმის მუდამ წელს ერთსა-და-იმავე საგანზე შუამდგომლობდა, ერთსა-და-იმავე საზოგადო საჭიროების(?) დაკმაყოფილებას სთხოვდა უმაღლესს მთავრობას; ესა-და-ეს კაცის მკვლელი, ავაზაკი ან ქურდი თავადი და აზნაური დაგვიბრუნეთ ციმბირიდამაო! ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ამ თხოვნას გარდა ერთიც კიდევ სხვა ჰქონდა: პრიკაზის ვალის პატიება!

მხოლოდ ერთხელ თუ ორჯელ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ იშუამდგომლა შესაფერს, ღირსს საგანზე: ადგილ-მამულების გამიჯვნის დაჩქარებაზედ და უმაღლესის სასწავლებლის დაფუძნებაზედ; ერთხელაც, თუ არ ვსცდებით, ამ ექვსის წლის წინათ, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ გადაწყვიტა წინადადება შეიტანონ საზოგადო კრებაში ვიშუამდგომლოთო, რომ ჩვენშიაც ერობა იქმნეს შემოღებულიო; მაგრამ არც ერთს ამ უკანასკნელ ორ შუამდგომლობას უმაღლეს მთავრობამდინ არ მიუღწევია: უმაღლესის სასწავლებლის მაგიერად გამოვიდა, რომ ჩვენ ვითხოვეთ სამხედრო გიმნაზიის დაფუძნება ქ. ტფილისში და ერობის შესახებ წინადადებას თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამდინაც არ მიუღწევია!—ერთს რომელღაც ბობოლას არ მოეწონა ამ გვარი თხოვნა თავად-აზნაურობისა და გააქარწყლეს...

გასაკვირველია, საიდამ დაიბადა ჩვენს თავად-აზნაურობაში ამისთანა სიმხდალე, ამისთანა გაუბედველობა, რომ იმის თხოვნასაც ვერ ვბედავთ, ისეთი რასმესი გამოცხადება გვაშინებს, რომლის სრულს ნებასა და უფლებას თვით კანონი გვაძლევს!

---

„დროების" ფელეტონი, 25 აპრილი

## ურიის ქალი

მოთხრობა პოშალინისა

(ნათარგმნი)

რა ერქვა იმას სახელად — არც კი მახსოვს... უეჭველად ან მორდანა იქნებოდა, ან ისააკი, ან აბრამა. მაგრამ სულ ერთია რაც უნდა ერქვას, მე კი იმას ებრაელათ ვახსენებ.

ჩვენ იმ დროს ალჟირში ვიდექით.

ის იდგა ებრაელების უბანში.

მე ზუავის ჯარის კაპიტანი ვიყავი. მას აქეთ ძალიან კარგა ხანია, თორმეტ-თხუთმეტი წელიწადი იქნება.

ერთს უბრალო ამბავს მოგახსენებთ ამ ებრაელზე. ეხლავ თვალ წინ მიდგას იმისი სახლი: დაბალი და ვიწრო ალაყაფის კარები, დიდრონი თეთრი ბოძები, პატარა ფანჯრები დილიდამ საღამომდინ ფარდებით ჩამობნელებული ისე, რომ ვერც გამვლელ-გამომვლელი და ვერც მეზობლები ვერ შეიხედავენ. ძალიან ხშირათ მინახავს მე ის ებრაელი თავის პატარა დუქანში.

ის იყო ყველა გვარი ნივთების ვაჭარი; იმის დუქანში კაცი იშოვიდა ყველაფერს, რაც კი სულსა და გულს უნდოდა, უბრალო რკინეულიდამ დაწყობილი ძვირფასი ოქროეული და თვალეულის ნივთებამდინ მშვენიერათ და ხელოვნურათ გაკეთებული. ძვირფას იარაღთან ერთად ეწყო ორ მანეთიანი ძველი დამბაჩები.

ყველაზე უფრო საყურადღებო იმის დუქანში იყო ოსმალური ან მაროკული ფოსტლები, რომელიც იზიდავდა მყიდველს და მეტადრე ქალებს, რომლებსა გულ-გრილათ არ შეეძლოთ გავლა იმის დუქანთან, რომ არ გაჩერებულიყვნენ. ებრაელიც ცდილობდა იაფად მოპოებული ნივთები ძვირად დაეყიდა.

ერთმა შემთხვევამ გამაცნო მე ის მოხუცებული ურია. ერთხელ მივდიოდი იმის დუქნის წინ და დავინახე ებრაელი ეჩხუბებოდა ვიღაც კაცს, რომელიც შესულიყო დუქანში და ერთი წყვილი ჩუსტი მოეპარა. ებრაელს შეემჩნია ქურდობა და მოეთხოვნა ნაქურდალი ნივთი. ამაზედ ქურდმა ერთი კარგი სილა გაარტყა ებრაელს ისე, რომ სული დააბნია.

აი სწორედ ამ დროს მეც შევესწარი და, რასაკვირველია, რომ რამდენიმე კარგი ჯოხი მიიღო ჩემგან ამ საძაგელმა და მგონი რომ თავის სიცოცხლეში არც კი [illegible] იმისი სიმწარე. იმის ყვირილზე მოცვივდნენ მრავალი იმ გვარი ხალხი და, რასაკვირველია, როდესაც დაინახეს, რომ ებრაელის მხარე მიჭირავს, ბუტბუტით გაბრუნდნენ უკან. ებრაელი გაკვირვებული მომვარდა ხელებზე და მკოცნიდა.

მეორე დღეს საჩუქრათ გამოეგზავნა ერთი კარგი თოფი, რომელიც აქნობამდინ მაქვს კიდევ შენახული.

მას აქეთ ძალიან მიღებული ვიყავ მე იმის სახლში. როდესაც დამინახავდა, სიხარულით ხტოდა და მეხვეწებოდა, რაც ნივთი მომეწონებოდა, ამომერჩია და წამეღო ჩემთვის. რაც უნდა საჭირო საქმეები ჰქონოდა, რომ მივიდოდი, გამოიქცეოდა და დამიწყებდა ლაპარაკს.

ერთხელ დავსეირნობდი მე და ჩემი რამდენიმე ამხანაგი; სხვათა შორის ჩვენთან იყო საწყალი ვილლარე, რომელიც ამ უკანასკნელ აჯანყებაში ისე საცოდავათ დაიღუპა. ამ დროს გამოიარა ებრაელმა და დამინახა თუ არა, არც კი მოერიდა ჩემ ამხანაგებს, მოვიდა ჩემთან და შემატყობინა, რომ დღეს ქარავნით მოუვიდა ბევრი მშვენიერი იარაღი და ნივთები და თუ მომეწონებოდა რამე, ამომერჩია ჩემთვის. მე შევპირდი საღამოს უკან მისვლას, ხელი ჩამოვართვი და მინდოდა დავბრუნებულიყავ ჩემ ამხანაგებთან, ერთბაშათ გამოიარა ერთმა მშვენიერმა ეკიპაჟმა,

ჩვენს სახელმწიფოში ეს შუამდგომლობის, საზოგადო საჭიროების გამოცხადების უფლებაც დიდი უფლებაა და რუსეთის თავად-აზნაურობა კარგად და ხშირადაც სარგებლობს ამ უფლებით; მხოლოდ ჩვენ ვერ მოგვიხერხებია, ვერ გაგვიბედნია.

წელს ისეთი შემთხვევა აქვს ჩვენს თავად-აზნაურობას თავის საჭიროებისა და მოთხოვნილების გამოსაცხადებლად, რომ სირცხვილია, საუკუნოდ სანანებლად დარჩება, თუ ამ შემთხვევითაც ვერ ისარგებლა, თუ ესეც ხელიდამ გაუშვა.

ქართლის თავად-აზნაურობამ გვიჩვენა პირველი მაგალითი. როგორც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად გამოცხადებული, იმან გარდაწყვიტა წინადადება შეიტანოს თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაში, რომ უმაღლესის მთავრობის წინაშე იშუამდგომლონ:

ჩვენის მხრის გამიჯვნის დაჩქარება,

დაწესება ამორჩევით სასამართლოებისა და ნაფიცთ მსაჯულებისა,

ერობის შემოღება და

სახელმწიფო სასწავლებლებში ვალდებულებითი სწავლა ქართულის ენისა;

ამას გარდა დაადგინა ამავე საზოგადო კრებაში წინადადება შეიტანონ, რომ სასკოლო თანხის შესადგენად თავად-აზნაურობამ ერთ-დროებითად (და არა მუდამ წელს) წარმოადგინოს ქონების-და-გვარად განსაზღვრული ფული.

ყველა ეს ისეთი საგნებია, რომელნიც მართლა ჩვენს საზოგადო საჭიროებას შეადგენენ და რომლის დაკმაყოფილება ყველასთვის სასურველი უნდა იყვეს. ამას გარდა ბევრი სხვაცა გვაქვს ამაზე არა ნაკლები საჭიროება; დავასახელოთ თუნდა უმაღლესის სასწავლებლის დაწესება, სასამართლოებში ქართულის ენის ხმარების უფლება, გზების გაკეთება, არაყის აქციზის მოხპობა და სხვ. და სხვ. და თავად-აზნაურთა კრებაზედ არის დამოკიდებული ყველა ამაებზე ერთად იშუამდგომლებს, თუ უფრო საჭირო საგნებს ამოარჩევს და ჯერ იმაზე წარადგენს თავის შუამდგომლობას.

ყოველ შემთხვევაში თავად-აზნაურობას ერთი რამ უნდა ახსოვდეს: არც ერთი ზემოხსენებული თხოვნის განცხადება, თუ კი რიგიანად და კანონიერის წესით იქნება წარდგენილი, არაფრისთვის საწყენი არ დარჩება.

იქნება მთავრობამ ზოგიერთ ამ თხოვნების შესრულება ჯერ-ჯერობით უდროოდ დაინახოს, ან იქნება სხვა რაიმე მიზეზით არ დააკმაყოფილოს; მაგრამ ჩვენი დაჭირების გამოცხადებათა მაინც აუცილებელი საჭიროა იმ რუსულ ანდაზის ძალით, რომელიც ამბობს, რომ „თუ ბავში არ იტირებს, დედა ძუძუს არ მიაწვდენსო“. უმაღლესი მთავრობა, ქვეყანა მაინც შეიტყობს—თუ რა გვაწუხებს ჩვენ, რა გვეჭირება, რა მოთხოვნილება გვაქვს,—ხან-და-ხან ესეც კარგია განსაკუთრებით ისეთ ხალხისათვის, რომელიც თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში სულ გაჩუმებულია, თითქო არც კი არსებობს დედა-მიწაზე, და რომლის შესახებაც ქვეყანას არა ესმის-რა.

## დღიური

პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ მოკლე ხანში უწმინდესს სინოდში იქნება სჯა სასულიერო სემინარიების პროგრამის შეცვლაზედ; განზრახვა არისო, რომ იმ საგნების შესწავლას, რომელთაც საერო გიმნაზიებში ასწავლიან, უფრო მომეტებული ყურადღება ექმნეს მიქცეულიო და ამას გარდა ამ სემინარიებში ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ექიმობის სწავლაც უნდა შემოიღონო.

* * *

„იურიდიულს მიმოხილვაში“ იწერებიან, რომ ტფ. სამოსამართლო პალატამ გარდაწყვიტაო, რომ ადრინდელი „ობზორის“ რედაქტორი ბ. ნ. ნიკოლაძე ძალით, პოლიციის საშუალებით მოიყვანონ პეტერბურღიდამ, რადგან ორჯერ იყო ის, სურამის მოსამართლის ბ. კაფაროვის საჩივრის გამო, დაბარებული და არც ერთჯერ არ გამოცხადდაო. ამ ამბავს ზემოხსენებული გაზეთი უმატებს:

„თუმცა ამ გვარი მოქმედება პალატისა კანონიერია, მაგრამ როდესაც ბ. ნიკოლაძე სტავროპოლში იმყოფებოდა, რამდენჯერმე ითხოვა მაშინ, რომ იმის საქმეები გაერჩიათ; ეს თხოვნა კანონიერი და შესაწყნარებელი იყო, მაგრამ პალატა მუდამ უარს ეუბნებოდა ამ კანონიერ თხოვნის დაკმაყოფილებაზედ“.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, მაისის 8-ს ტფ. სამოსამართლო პალატა განიხილავს ელისავეტპოლის გუბ. მომრიგებელ მოსამართლის ბ. ღვინიევის საჩივარს ამავე ელისავეტპოლის ოლქის სასამართლოის თავსმჯდომარის ამხანაგზე ბ. ბოროზდინზე, რომელსაც ეს მოსამართლე ოფიციალურ ქაღალდით შეურაცხყოფას უჩივის.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ამ თვის 21-ს გასულა ბაქოდამ და მეორე დღეს, 22-ს, კრასნოვოდსკში მისულა.

* * *

„კავკაზშივე“ ვკითხულობთ, რომ ამ თვის 6-ს წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის რჩევის სხდომა ყოფილა კნეინა ნადეჟდა ანდრიას ასულის დონდუკოვ-კორსაკოვის თავმჯდომარეობით და, სხვათა შორის, გარდაუწყვეტიათ, ეხლავე შეუდგნენ ლონის-ძიების მოპოვებას, რომ ძველი შენობა ამ სასწავლებლისა გადააკეთონ და ახალი საჭირო სადგომები მიუმატონ.

* * *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ამის წინათ იქ ჩასულა თავის ტრუპპით ვილაც ვიმნასტიორი ოტტო, რომლის პირველ წარმოდგენაზე ბევრი ხალხი დასწრებია; მაგრამ ამათ თამაშს სრულებითაც არ გაუკვირვებია გურულები.

მაგიერად ყველას დიდი სიამოვნება მიუღია იმ ქართულ წარმოდგენიდამ, რომელიც ამ დღეებში ყოფილა იქ გამართული ბ. ილურიძისა და კოპაძის ქალის თაოსნობით და ბევრნი ნატრულობენო, რომ ამ გვარი წარმოდგენები უფრო ხშირად იყვესო.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინწინდელს, პარასკევის, ნომერზე № 83-ის მაგივრად პირველს გვერდზე № 82 ეწერა, დანარჩენს 2, 3 და 4 გვერდებზე კი სწორია.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

**ხაშური, 20 აპრილს.** ძლივს გავისტუმრეთ წლევანდელი „ბუზღუნა“ ზამთარი მისი მფლობელობა გაზაფხულმა დაიჭირა. აქამდის სიცივეებზე წლევანდელი ზამთრისაგან მოყენებულ საგრძნობელ ზარალებზე, ეჩიოდით ეხლა სიცხისგან სულს ძლივს-ღა ვიბრუნებთ. მინდვრებმა, ტყეებში და საზოგადოთ ხაშურის არე-მარემ იცვალა ფერი და აქაურ „ორფეუსა“ სულდგმულსაც რაღაც საკუთარი ბეჭედი დაასო: ზამთრისაგან სულ შეგუბებულთ, ძალა უნებრივ მუხლმოკვეთილთ გაესხნათ ძალა და მიეცათ მადა მშვენიერ ამწვანებულ ალმართებზე სეირნობისა და ამაყური ოცნებობისა იმ ნეტარ სახსენებელ წმიდა გრძნობაზე, რომელსაც სახელათ სიყვარულს უწოდებენ და რომელსაც ანგელოზის ფრთა შეასხა და

---

რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია.

ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ.

რაღაც საშინელი ტკივილი ვიგრძენ ხელში, ასე გონია რასმეში მომიმწყვდა. მოვიხედე და დავინახე საწყალი ებრაელი გაყვითლებული; სიმწრის ოფლი სდიოდა მთელ სახეზე; თვალები გადმოცვივოდა. ის უყურებდა გაცვიფრებული იმ მხარეს, საიდაც იმ მშვენიერმა ეკიპაჟმა გაიარა.

— რა დაგემართა? ვკითხე მე.

— არაფერი! გმადლობთ! წაიბუტბუტა, მიიხედა იქითკენ, სადაც ეკიპაჟი გაექანა, რაღაც შეჰყვირა ებრაულათ, უთუოდ დაიწყევლა, და დაბრუნდა საჩქაროდ.

— მე დავბრუნდი ჩემს ამხანაგებთან.

— აი ისიც! სთქვა ჩემს დანახვაზე ერთმა სქელმა აფიცერმა. აქ მობრძანდით, კაპიტანო!

— რა იყო? ვკითხე მე.

— მოიცა პატარა, მიპასუხა ვილლარემ. ეხლავ გიამბობთ ყველაფერს.

— ჯერ მიპასუხეთ—როგორ მოგეწონათ ის ეკიპაჟი? მკითხა იმავე სქელმა აფიცერმა.

— დიახ, მშვენიერია, მშვენიერი! ვუპასუხე მე, რადგან ძალიან კარგა ვიცოდი, რომ ეკიპაჟში მჯდომზე იყო ლაპარაკი.

— მე იშვიათად მინახავს იმისთანა მშვენიერი ქალი.

— იცი ვინ არის ეს ქალი? მკითხა ვილლარემ.

— არა.

— რა ჰქვია იმ შენ ნაცნობ ებრაელს, რომელთანაც აი ეხლა ლაპარაკობდი?

— იმას ჰქვია... არა, სწორედ, აღარ მახსოვს იმისი სახელი.

— ეს იმისი ქალია!

— მართალა? იმას თავის დღეში არ უთქვამს ჩემთვის, რომ იმას ქალი ჰყავდა ან ჰყოლია, თორემ მეცოდინებოდა.

— სწორეთ რომ იმისი ქალია, გამიმეორა ვილლარემ, ამ ქალზე ერთი ამბავიც არის.

— აბა ერთი გვიამბე, მივაყვირეთ ყველამ.

— დიდი არაფერია, მაგრამ, რადგან ეხლა საქმე არა გვაქვს-რა, გიამბობთ. მოკლე ამბავია.

### II

ხუთი წელიწადია, რაც ეს ქალი საუკეთესო და უმშვენიერესი სამკაული იყო თავის მამის დუქნისა.

თავის მშვენიერ ებრაულ ტანისამოსში მაღალი და წვრილ-ტანისა. დიდრონი მშვენიერი შავი თვალები, გრძელი წამწამებით სწორედ ციურ ქმნილებას ამგზავსებდა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ როგორ პატივცემული და საყვარელი იქნებოდა ეს მშვენიერი სარრა (ქალის სახელია). მისი მამა მუდამ ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მან მისცა ასეთი მშვენიერი ქალი.

ქალაქი კონსტანტინა იყო ძალიან მოსაწყენი ადგილი. ყველა სამხედრო კაცი თავის თავისუფალ დროს სმაში და ყავახანაში ატარებდა დროებას დილიდამ საღამომდი და, რასაკვირველია, რომ ამ გვარ მდგომარეობაში აქ ქალები ძალიან ძვირი სანახავები იყვნენ და დიდი გარჩევა არა გვქონდა. ჩვენს პოლკში მსახურებდა ერთი ლიონელი აფიცერი, სახელათ ბობენი. ოც-და ხუთი წლის ყმაწვილ კაცი, ლამაზი და კარგი მოყვანილი. ამ ყმაწვილს ძალიან მოსწყინდა აქაურობა და დროს გასატარებლათ მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დადიოდა.

ერთხელ ამ სიარულში შეამჩნია ურიის დუქანში ეს მშვენიერი სარრა, რომელიც იჯდა ფანჯარასთან და ითვლიდა თავის ყელ-საბამ მარგალიტებს.

ბობენი პირველ დანახვისა-თანავე აღტაცებაში მოვიდა იმის სიმშვენიერით. იმას ამ დუქანში არც ძვირფასი ნივთები იტაცებდნენ და არც სხვა-და-სხვა მშვენიერი იარაღები.

ამ ქალის ეშხმა დასწვა და აალელვა; გულმა ცემა დაუწყო აჩქარებით და სიყვარული და სურვილი სწვამდა მას. ის შევიდა ურიის მაღაზიაში. ებ-

[...] სამფლობელო მისცა-კაცის [...]ულში დიდებულმა ბუნებამა, მართალია, მეტის-მეტათ მიუწდომ[...] და რთულ მოვლინეებს კი ვე[...] მაგრამ ეს რა ჩვენი ბრა[...]—რათ მოგვცა ღმერთმა „დიდი" [...] და მაღალი გრძნობა ხაშურე[...]ებს?! მოგეხსენებათ: დიდი ჭკუის „[...]ლოფიანები" და მაღალი გრძნო[...] მქონენი უფრო მაღალ საგნებს [...] რთულ მოვლინეებს ეტანებიან და [...]ნავათ ჩვენებური მიტრაფანუშ[...]! ტყუილი დასკვნა კი არ გამო[...] ჩვენ „წვერ-წამეტას" ხაშუ[...]ლებზე: მსენი თავის დღეში დაბ[...] არ იცქერიანო, სულ მაღლა აქვთ [...] თავი აშვერილიო; ამათი [...] და გრძნობა რაღაც ზეციური, [...] მანქანებისკენ არიან მი[...]თულნიო და დედამიწის „რამე[...]" ჩხრეკას არ კადრულობენო!! [...]თლა, რომ ეს ხაშურელებზე „წვერ[...]ეების" დასკვნა უტყუარი მსჯე[...]ობისა და დაბეჯითებით „ხაშურე[...] ცხოვრებაზე" დამკვირების ნი[...]... მაგრამ... რომ არავინ უჯე[...] და პირში ჩალას ავლებენ?!. [...]ველა ამით ამტყუნებს და თავის [...] ამართლებს: დიახ ჩვენ ყველა[...]ში მართალნი ვართ, ისე, მარ[...]ნი, როგორათაც ბატონი ვასი[...] მართალი იმ გულ ამაღელ[...]ბელ და საზიზღარი გარემოებაში, რომელმაც აატირა და ააძგერა სუყ[...] გულები და გაურბინა ტანში [...] ჟრუანტელი, ესე გაშინჯეთ, [...] სიამით გამაძღართაც კი.

მე აქ მარტში მომხდარ საორთქ[...] ქვების აფეთქებაზე მოგახსენებთ... [...] შემთხვევაში, რომ ხაშურე[...] რთულ მოვლინებეებს ვეტანე[...], როგორც მოგახსენეთ, ღმერთია [...]შავე,—რადგანაც მისი მოწყა[...]ებითა და დიდებითა მოგვენიჭა ჩვენ [...] სავსე კოლოფები და „ზეალ[...]" გრძნობანი, რომლებიც გვა[...] დედამიწას და გვარონინებენ ცის სივცეში; მეორე შემთხვევაში ბ. ვასილიევია მართალი, რადგანაც იგი ფულებითა კოჭაობს და კამპანიის „წვრილ ფეხობას" მისი ფულის პარკები პირში ბულთს უჩრიან.

ეს ცილის-წამება არ გახლავს. სუყველა ამას საქმენი გვიმტკიცებენ და მეტადრე ა. ვასილიევის ფულის მოყვარეობის წყალობით მომხდარი საორთქლე ქვაბის აფეთქება, რომელმაც იმსხვერპლა 11 მუშა მეგრელი, ცხრა მთას იქიდგან გადმოსულები ლუკმა პურისთვის საბრძოლველათა. ნეტა რა პასუხს აძლევს ბ. ვასილიევი ამათი ცოლშვილების და დედმამის ცრემლებს?!.. მაგრამ ახლა ამას დავანებოთ თავი...

იმას მოგახსენებდით: დღევანდელი „დარდუბალა" ზამთარი გავისტუმრეთ მეთქი და მის მოადგილე ზაფხულმა ცოტაოდენი შეღავათი მისცა ჩვენ არსებობას. თვალებიც გაგვაფშვნეტინა: დროა, მუშაობას ხელი მიჰყავით და ეხლა საშინელი მოძრაობა გახლავს. დიდი ხანია ჩვენმა გლეხებმა მუშაობას მიჰყვეს ხელი.—თუმცა კი მათ შრომას, მათ ყოველი ფეხის გადადგმას რაღაც უიმედობის ფერი აძევს, მაგრამ ერთი რამეთ ნუგეშობენ მაინც სუყველა ეს ღმერთის განგება არისო, არ უნდა სასოწარკვეთილებას ვამსხვერპლოთ თავიო...

მაშ რა ქნას საწყალმა გლეხმა!! რას დააბრალოს თავისი უბედურება? ვის შესჩივლოს?... ვის მიუშვიროს თავისი წყლული გასამრთელებლათ და ვას ანდოს თავისი ფიქრი, გარდა მის შრომაში თანამოზიარე ლაბა-ხარისა, როდესაც იგი ვერ პოულობს ნამდვილ მეგობარს და ათი ათასჯერ შეშინებულია მტარვალებისაგან, რომლებიც ასხედან და ჩაქუჩს უფაჩუნებენ თავში.

ერთი გარემოება კი ძალიან ახალისებს ჩვენებურ გლეხს. ეს გარემოება ნადელლების შესყიდვას შეეხება. მოაღწია თუ არა გლეხის ყურამდის ამ ამბავმა, სუყველას ტანში სიხარულის ჟრუანტელმა გაურბინა... თუმც პირველში არა სჯეროდათ, მაგრამ ეხლა კი დიდ აღტაცებაში და განუსაზღვრელ სიხარულში დასცურავენ... იქნება ბედმა მართლა გაგვიღიმოსო და ღმერთმა მოწყალების თვალით შემოგვხედოსო, ამბობს ჩვენი გლეხი. ბევრი-კი, ცხოვრებაში „გაჩარხული" გლეხები ამ გარემოებას სხვა-და-სხვა კუდებს აბამენ, სხვათა შორის საშინელი დიდი ხარჯი დაგვედებაო და უფრო დიდი გაჭირება მოგვადგება ისეც გაჭირებისაგან წელდაწყვეტილებსაო... ღმერთმა უწყის, თუ რამდენი სინამდვილე გამოიჭყიტება ამ ზოგიერთა გლეხების შორ-გაჭვრეტაში; სუყველა ამას მომავალი დაგვანახვებს, თუმცა კი მას სრულიად კვალი არ უჩანს და ბინდი-ბუნდით მოცულა იგი. მართლაც და რამდენიც დაბეჯიდებით შეუდგება კაცი ხალის ცხოვრების შესწავლას, რამდენც ღრმათ ჩააკვირდება მის აწმყოში და გასჩხრეკავს მის უსწორ-მასწორობას, მის ავან-ჩავანობას, იმდენათ შემძვევა მოგეცემა სთქვა, რომ გლეხის მომავალი ჯერ-ჯერობით ბურუსით გარემოცულა და მის მდგომარეობაში არაფერ ეკონომიურ მხრით წინ წაწევითი ნიშნები არ უჩანს: არაფერმა რეფორმამ ჩვენ გლეხს ჭირისუფლის სუდარა ვერ აჰხადა; იგი ცხოვრებით ისევე უკმაყოფილოა და ლატაკი, როგორც წინათ იყო ბატონყმობის დროს...

სუველა ეს სამწუხარო გარემოებანი გლეხის ცხოვრებაში წარმოსდგებიან იქიდგან, რომ ჩვენ სრულიათ არაფერი გვეყურება ხალხის გულის ძგერით არ ვაკვირდებით მის მოთხოვნილებას, მის ლტოლვილებას, არ ვიხედებით მის სულსა და გულში და ერთი სიტყვით არ ვიკვლევთ მის ავათ-მყოფობის-სიჭლექის დასაწყისს და ბოლოს წამალს კი ვაძლევთ, მის ცხოვრებას მკურნალებათ უხდებით, თუმცა კი ჩვენი მკურნალობა უფრო უწყლულებს წყლულს და [...]რისკენ მიეპატიჟება...

სანდრო შოშოლა

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! ამისთანა უბედურება თქვენს მტერს მიეცა, რაც საწყალ ქუთაისის სატუსაღოში მყოფთ გვემართება. ბ. ქუთაისის პოლიცეისტერმა ბ. ა—სკიმ, ჩვენ და საუბედუროთ, სატუსაღოს ზედამხედველის თანაშემწედ დანიშნა ვიღაც ნასალდათევი ბლასკოვი, რომლის ერთი შეხედულება ამტკიცებდა, რომ სწორეთ კარგათ უნდა შესძლებოდეს მას ოც-და-თორმეტი გირვანქიანი თოფის თამაში ხელში. მაგრამ რადგან „ასტავკა" ჰქონდა მიღებული, სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა და ამისათვის არც თოფის ხელში დაჭერა ეჭირებოდა. თოფის ნაცვლად ერთი კარგი თავკობალა ბზის ჯოხი ეჭირა ხელში და როდესაც ჩამოირდა კამერების კარიდორებში სადილის დარიგების დროს, დიდი რამ მედიდურობა ეტყობოდა.

პირველ მოსვლაზედ ბლასკოვი პატიოსნებას ხმარობდა და თავდაბლობაც გამოიჩინა ტუსაღებთან; ქადაგებდა, რომ ლობიო უწინ ფუთნახევარი მოდიოდა, ახლა-კი, ჩემის შემწეობით, ორ ფუთ-ნახევარი მოდისო და სხ. ამ გვარები. დიდი წყა[illegible]კოვს—ერთი ფუთი ლობიო უწინდელზედ მეტი, მაგრამ არა თუ ორ ფუთ-ნახევარი, საწყალ ტუსაღებს ის ერთ-ფუთ-ნახევარიც უხარშავი ლობიო ვერ მოუნელებიათ.

ამას თავი დავანებოთ, და შეუდგეთ ბ. ბლასკოვის შემდეგ მოქმედებას.

ცოტა ხანს შემდეგ ჯერ ცოტ-ცოტათი სიტყვით ტუსაღების გინებას მოჰყვა. მემრე ჯოხის მიღირება და-

---

[...]ელმა დაუწყო თავის საქონლის [...]ბა; ის კი ჩუმათ იდგა და სტკბებო[...] იმ ქალის ხილვით. ყმაწვილი [...]ლი ყურადღებას არ აქცევდა, იჯ[...] თავ-ჩაღუნული და ათამაშებდა [...]ვის ყელ-საბამს; მხოლოდ ხანდის[...] შეხედავდა ხოლმე. თითო ამის [...]ედვა გულში ისარივით ხვდებოდა [...]წვილს კაცს. ამ გვარათ ჯდომამ [...]უხა ქალი, ადგა და გავიდა დუ[...]ნიდამ.

— ამა, ჰკითხა ებრაელმა, ამ ნივ[...]ებში, რომელი უფრო მოგწონსთ?

ამ კითხვამ ცოტა არ იყო გონზე [...]იყვანა ყმაწვილი აფიცერი.

— არც ერთი, უპასუხა მან ნე[...]ის ხმით. მითხარი, ებრაელო, რამ[...]ენი მოგცე მაგ შენს ქალში?..

— ჩემს ქალში? შეჰყვირა მამამ... [...] ეიცი, შეცდომით თუ მართლა [...]ესმა ჩემს ქალზე ლაპარაკი?

— დიახ; მითხარი, რასა მთხოვ. მე მინდა შენი ქალი...

— მასხარათ მიგდებ, ყმაწვილო. ოხუნჯობა კარგი საქმეა, ნამდვილი ფრანცუზის ჩვეულებაა; იმათ რბილში და ძვალში ჩაჰყოლიათ ჩვენისთანა საწყალ ხალხთან ოხუნჯობა. უჰ! ჩემი ქალი უნდა გავყიდო?

— ზადაწყვეტით სთქვი. მე ძალიან მდიდარი ვარ და ვგრძნობ, რომ ძალიან შემიყვარდა შენი ქალი. იმის მოსაპოებლათ ყველა გვარ საშუალებას მოვიხმარ და ყველაფერს შევწირავ.

ორ მინუტს გაძლევ დროს და უნდა გადაწყვიტო.

— ვაი ჩემ თავს, შეჰყვირა ებრაელმა წვრის გლეჯით, მე ერთი საცოდავი კაცი ვარ და თქვენ ძალიან ცუდს რასმეს მეუბნებით!.. კაცი დავბერებულვარ და ჩემს სიცოცხლეში არ გავიტარებდი ჰაზრში მას, რასაც ეხლა თქვენ მე მეუბნებით. ჩემი ქალი ნივთი არ არის, როგორ გავყიდო!..

თუმცა ლაპარაკობდა, მაგრამ გული უკვდებოდა ამ გვარი შეურაცხყოფისავის. ცხარე ცრემლი სდიოდა თვალეიდამ სიანჩხლით, რომ არ შეუძლია სამაგიეროს გადახდა. სხვა-და-სხვა გვარი გრძნობები ისე აღელვებდნენ და იმისთანა საცოდავ სანახავად ხდიდნენ ამ საწყალ მამას, რომ ძრიელ გულ-მაგარ კაცსაც კი შეებრალებოდა.

— მაშ კარგი, შენი ქალი გასასყიდი არ არის? მაშ ისე მამეცი.

პასუხის მაგივრათ შეურაცხყოფილი მამა ცხარეს ცრემლით ტიროდა.

— არც მაძლევ, არც მოყიდვა მინდა განა? მაშ კარგი, უშენოთაც წავიყვან, უშენოთაც ჩემი იქნება.

ამის შემდეგ რა მოხდა აღარ ვიცირა იმის მეტი, რომ კარგა ხანს ამ ებრაელის დუქანი დაკეტილი იყო და ის თავისი სახლობით სადაღა წასულიყო.

ლამაზი სარრას საყვარელმა აფიცერმა ყველაფერი იმათი ამბავი დაწვრილებით იცოდა.

— მერე როგორ მოახერხა ამ ქალის წაყვანა? ვკითხე მე.

— ერთობ ბევრი შეტყობა მოინდომე.

ამ გვარი საქმის ასრულება უთუოთ რომელიმე მოხუცებული დედაკაცის ან მაჭანკლის საშუალებით მოხდება ხოლმე. ისიც აიჩენდა ამისთანა პირს, რომლის საშუალობით გაიცნობდა სარრა და მერე ამის შემდეგ თავის-თავათ სისრულეში მოიყვანდნენ. შეყვარებულებს ყოველთვის თავიანთი ენა და ნიშნები აქვთ, რომლის საშუალობითაც ქვეყნის შეუმჩნევლათ შეუძლიათ ლაპარაკი. მე, როგორც მახსოვს, ბობენი ხუთი დღით დაეთხოვა თავის უფროსს და წავიდა აქედამ.

— მერე?

— მერე ის, რომ ამ სარრამ გააკოტრა ეს გობენი და გამოაგდო სახლიდამ. მერე, როგორც მოგეხსენებათ, ამ გვარი ქალების ამბავი, ბევრი კაცი დააქცია და გააუბედურა.

ღამის თერთმეტი საათი შეიქნა და ჩვენც დავიშალენით.

(დასასრული შემდეგ ნომერში.)

იწყო და ბოლოს ერთს კიდევაც სდრუზა ზურგში.

მოგეხსენებათ, ტუსაღიც ღვთის გაჩენილია: წამოუსვა გალახულმა ხელი და შენს ზლასკოვს ერთი თუ ორი, თეფშები შიგ შუბლში ესროლა, მისი ბზის ჯოხი ისევ მის ზურგზედ, ერთი-სამათ გახადეს. ამ გარემოებამ, რა საკვირველია, მიაწია ბ. პოლიცმეისტერის ყურადმდე, „რომელიც დიდათ განრისხდა და სატუსაღოს ზედამსედველს უ. შეპელლოს დასდვა ბრალი, ვითომც ამ უკანასკნელს განეძრახებინოს ტუსაღი ზლასკოვის გალეხვაზედ, რადგან ვითომ უკმაყოფილოთ იყვნენ ერთმანეთში. მაგრამ ეს სულ ტყვილია: მიზეზი ბ. ზლასკოვის გალახვისა ის იყო, რომ ვითომც ერთს ტუსაღს მეტი აელოს ერთი კოვზი ლობიო თუ სუფი, და ამისათვის მან დაკრა ტუსაღს და ტუსალმაც (ხურცილავამ,) პასუხი უგო.

ტუსაღს რაღა შეგინება უნდა, თქვენი ჭირიმე, განა უიმისოთაც ვერ გრძნობს თავის გაჭირვებას, რომელშიაც ჩავარდნილია? და ამ გაჭირვებასთან კიდევ ცემა?

ერმილე დოდონაძე.

ქუთაისი. 18 აპრილს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარსევანი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

გ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირ. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—13

---

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—2)

---

გიორგი ნ. ძის იოსელიანის და ბ. რეაოლდის პანსიონში იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81 (2—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქუჩუჩ

## ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

---

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

თფილისის თავად-აზნაურთა ადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, წესდების § 82 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის წევრთა ჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვს რომელიც იქნება აპრილის 29-ს ამა 1882 წელს დილის 10 საათზე არწრუნის თეატრში.

განსახილველი საგნები:

1). განხილვა გაგლილ 1881 წლის ბანკის შემოსავალ-გასავლისა.

2). განსაზღვრა-თუ საზოგადოსარგებლობისათვის დანიშნული ფული ბანკის შემოსავლიდამ, რადა რა საგნეზე უნდა იქმნეს მოხმარებული.

3). განხილვა და დამტკიცება 1882 წელსა ბანკის გამგეობისათვის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4). მოხსენება ბანკის გამგეობისა იმის შესახებ—თუ რა შემწეობა შეუძლიან ბანკს აღმოუჩინოს გლეხებს ადგილ-მამულის საკუთრებად შეძენაში.

5). წინადადება ბანკის წევრის, გ. დ. თულაშვილისა იმაზედ, რომ ბანკში დაინიშნოს, ზემდემერი დასგირავებელ მამულების გასაზომად.

6). ამორჩევა ბანკის გამგეობის თავსმჯდომარისა ახლანდელის თავსს მჯდომარის თ. ჭავჭავაძის მაგიერად. რომელიც რიგით უნდა გამოვიდეს გამგეობიდამ.

7). ამორჩევა ზედამხედველ კომიტეტისა და დამფასებელ კამისიის წევრთა და ამ უკანასკნელთ კანდიტატებისა. (9—6)

---

ახლად ჩამოსული

## ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ათი წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საექიმო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დამზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

(24—15) ბებია-ქალი დობროდეევა—კაშინსკისა.

---

„განმგებელი კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საზოგადოებისა, შეუძლებელ მოწავლეთა შემწეობისათვის“ აცხადებს, რომ ოთხშაბათ, 28 [აპ]რილს, დილის 10 საათზედ იქნება მოხსენებულ საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება ტ[ფილისის] სააზნაურო სკოლის სადგომში, ს[ა]ლოლაკის ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, ბაისალოლოვის № 19-იან სახლში.

განსახილველი საგნები:

ა.) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

ბ.) განხილვა და დამტკიცება მომავალი წლის სავარაუდო ანგარიშისა.

გ.) წევრთა ამორჩევა „საზოგადოების“ განმგებელი კომიტეტისა. (6—4)

---

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ფუნტი

— — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.

— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.

— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.

— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.

— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.

საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან ქაღალდით. (100—100)

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

ივაკ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.


---

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის—1 გირ. 5½

მეორის „ —1 გირ. 3½

მესამის „ —1 გირ. —

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი

პირველის ხარისხის—1 გირ. 6 კ.

მეორის „ —1 გირ. 4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 კ.

მეორის „ „ —1 გირ. 5 კ.

მესამის „ „ —1 გირ. 4½

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ. 11 კ.

მეორის „ —1 გირ. 9 კ.

სუკი — — —1 გირ. 16 კ.

ცხვრის ხორცი — 1 გირ. 13 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ. — კ.

მეორის „ —1 გირ. — კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Апрѣля 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი